



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №11

2014 წლის 21 თებერვალი
ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის ზურაბ ოტიაშვილის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 160-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ბრალდებულის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ, მცხეთის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 14 თებერვლის განჩინების საფუძველზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გადაწყვიტა:

1. სისხლის სამართლის N092111212001 საქმესთან დაკავშირებით წინასწარი პატიმრობის შეფარდების გამო, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ ოტიაშვილი, გადაყენებული იქნეს დაკავებული თანამდებობიდან სასამართლოს მიერ აღნიშნულ საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებამდე.
2. განკარგულება ცნობად გადაეზავნოს მცხეთის რაიონულ სასამართლოს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის მცხეთა-მთიანეთის სამმართველოს;
3. ეს განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ცარო სამაგლიშვილი

